ჩვენი შუამავლის უხმო მეგობრები 2

# ღამამეს განსაკუთრებული მისია



სემა ექერი
მხატვარი: ბუშრა ჯანთურქ დურმაზ

თურქეთის რესპუბლიკის სამმართველო
დიანეთის საქმეთა სამმართველო

გამამეს განსაკუთრებული მისია
სემა ექერ


გამოცემის ხელმძღვანელი : ჯაფერ თაიარ დოიმაზ
გამოცემის კოორდინატორი : იუნუს იუქსელ
რედაქტორი : ზეინეფ ულვიე ოზქან
შესწორება : ზეინეფ სელინ თერზი
გარეკანისა და შიდა დიზაინი : შეიმა ჩაქირ
გამოცემის მომზადება : ალი ჩინქი

მე-2 გამოცემა, ანკარა, სექტემბერი 2023

ისბნ : 978-625-435-584-1
2023-06-Y-0003-2454

სერტიფიკატის ნომერი : 12930

ქართულად თარგმნა : ნინო კახაძე
ქართული გრაფიკა : ბილალ ილქაი

# ჯამამის ჯანსაყუთოიბული მისია

სემა ექერი

მხატვარი: ბუშრა ჯანთურქ დურმაზ

ამ წიგნის მფლობელი :)

ფუმფულა და საყვარელი ღრუბელი, გამამე, ღრუბლების გაერთიანების ყველაზე მშრომელი წევრი იყო.

თავის მოვალეობებს ყოველთვის ღირსეულად ასრულებდა.

ძალიან უყვარდა დაგროვილი წვიმის წვეთების ადამიანებამდე, ცხოველებამდე და მცენარეებამდე მიტანა.

ამავდროულად, სხვა ღრუბლებთან და ჩიტებთან ერთად დამალობანას თამაში ხიბლავდა.

**გამამეს ეს მხიარული ბუნება ყველას აბედნიერებდა.**







muslim georgia

გამამეს ძალიან უყვარდა წიგნის კითხვა. ის კითხულობდა წიგნებს დედამიწაზე, მზეზე და ვარსკვლავებზე. ერთხელაც შეიტყო, რომ დედამიწა მზის გარშემო მოძრაობს. უფრო მეტიც, წაიკითხა, რომ ცაში დედამიწაზე გაცილებით დიდი პლანეტებია. ეს ინფორმაციები მისთვის ერთობ ამაღელვებელი აღმოჩნდა.

გამამე ახალ ინფორმაციებს დღიურში **იწერდა და მეგობრებს** უზიარებდა.



ერთ დღესაც, ღრუბლების გაერთიანების მეთაურმა გაგამე მოიხმო. გამამემ მაშინვე დაიფერთხა წვიმის წვეთები და მეთაურისაკენ გაეშურა. „მეთაურო მე მოვედი! თქვენ მიხმეთ.“ - უთხრა.

# მეთაურმა გამამეს

უთხრა: „ცისა და ხმელეთის გამჩენმა, ალლჰმა, ჩვენ განსაკუთრებული მისია დაგვაკისრა. მე ჩავთვალე, რომ შენ ამ მისიისათვის შესაფერისი ხარ. არის ერთი ბავშვი, რომელიც მზისგან უნდა დაიცვა. როგორიც ცნობილია, ეს ძალიან განსაკუთრებული ბავშვია. იმ ბავშვის ჩრდილად უნდა იქცე.“



გამამემ დიდი ინტერესით იკითხა, თუ რა ერქვა იმ პატარა ბავშვს, რომელიც უნდა დაეცვა.

მეთაურმა ღიმილით მიუგო „მუჰამმედი“ -ო და დაამატა:

„დრო რომ დადგება, ის ჩვენი შუამავალი გახდება. შენ დღეიდან ჩვენი შუამავლის მეგზური იქნები.“




muslimgeorgia



muslim georgia



muslim georgia

აღელვებული გამამე მაშინვე სახლში წავიდა და დიდი სიხარულით მიაშურა თავის ოთახს. „ახლავე უნდა მოვემზადო," - თქვა. სახიდან ღიმილი არ შორდებოდა. სარკის წინ დადგა და ხან მარჯვნივ მიბრუნდა, ხან კიდევ მარცხნივ.

ცდილობდა უფრო ფუმფულა გამხდარიყო და ჰოპ! ჰოპ! ხტუნაობდა. სკუპ! სკუპ! დახტოდა.

უკვე სასურველი ფორმა მიიღო და ოჯახს მისი ახალი მისია აცნობა. მისი ოჯახი გამამეთი ამაყობდა.





გამამე დედასა და მამას ხელზე ეამბორა
და მათი დალოცვა დაიმსახურა.

„ალლაჰს ებარებოდეთ ჩემო ძვირფასო ოჯახო,“
- უთხრა, „ბისმილლაჰ“ თქვა
და სახლიდან გავიდა.

muslimgeorgia
muslim georgia international charity foundation



დიდი მღელვარებით მიაშურა

**მუჰამმედის** ქუჩას.

ცდილობდა მზის ზენიტში მისვლამდე მიესწრო. ქუჩას მიუახლოვდა და სულ მცირე ხანში დაინახა ეზოში მოთამაშე ბავშვები.

მაშინვე შეამჩნია ბავშვებს შორის მუჰამმედი. იმდენად ლამაზი იყო, რომ გაოცება ვერ დამალა. სირბილისას მისი შავი თმა ტალღებივით ირხეოდა. გამამე მაშინვე გაეშურა მუჰამმედისაკენ და თქვა:

„ამის შემდეგ მუჰამმედი სადაც იქნება, მეც იქ ვიქნები.“





მას თან მზის სიმხურვალისგან იცავდა და თან ყურადღებით ათვალიერებდა.

მუჰამმედი თამაშისას, სირბილისას,
გართობისას მეგობრებს ზიანს არ აყენებდა.

მათ უსმენდა და სიტყვას არ აწყვეტინებდა.

ცუდ სიტყვებს არასოდეს იყენებდა.

ხუმრობითაც კი არ იტყუებოდა.



muslim georgia

მუჭამმელი
მის ყველა
მეგობარს
უყვარდა.



ერთ დღესაც, მუჰამმედი თავისი ბიძის, აბუ თალიბის ქარავანით გზას გაუდგა. მოგზაურობის მანძილზე

## ღამამე მუჰამმედს უკან მიყვებოდა.

ქარავანი მოსასვენებლად რომ შეჩერდა, ერთ-ერთმა სწავლულმა კაცმა ღამამე შეამჩნია.





მიხვდა, რომ ეს საყვარელი ღრუბელი მუჰამმედს მიჰყვებოდა და ქარავანში არსებული ადამიანები სადილზე მიიპატიჟა.

სწავლულმა კაცმა შემდეგი თქვა:

„ეი ებუ თალიბ! შენი ძმისშვილი, მუჰამმედი, რომ გაიზრდება, ალლაჰის შუამავალი გახდება. შენ ის უნდა დაიცვა.“



ამ ამბავს რომ შეესწრო გამამე, მეთაურის ნათქვამი სიტყვები გაახსენდა. იცოდა, რომ მუჰამმედი განსაკუთრებული იყო და მისი დაცვა იყო საჭირო.

## ებუ თალიბის თვალებში არსებული ეჭვი მაშინვე შეამჩნია.

სწავლული კაცის სიტყვებმა ებუ თალიბზე დიდი გავლენა მოახდინა. არ სურდა, რომ მუჰამმედს რაიმე შემთხვეოდა.

muslim georgia



გადაწყვიტა, რომ ეს მოგზაურობა არ გაეგრძელებინა და ქარავანი მექაში დაბრუნდა.

muslimgeorgia

გამამე მუჰამმედს ერთი წუთითაც კი არ შორდებოდა. მას ყურადღებით აკვირდებოდა და მისი ჩრდილის ქვეშ დაცვას აგრძელებდა. გამამე აცნობიერებდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი მისია ეკისრა.

**გამამე უკვე მუჰამმედის ცაზე არსებული უხმო მეგობარი იყო.**

